თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6559918

ნომერი: AR1976907

თარიღი : 07.07.2023

გაცემის თარიღი : 13.07.2023

გაცნობის თარიღი : 14.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ენუქიძის , N 7 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ენუქიძის , N 7-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ქამუშაძე პ/ნ 01011013527
- თბილისი კაკაბეთის ქ. N 2ბ ბ. 4

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. „არკა“ კოდი: 406057822

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 07 ივლისს №AR1976907 განცხადებით მომართა ირაკლი ქამუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის, მისამართის და საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 05 მაისის №6449423 ბრძანებით №01.19.22.003.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საწყობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 22 ივნისიდან 2025 წლის 22 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და საპროექტო ობიექტად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად საწყობის დაფიქსირებას. ამასთან, განმცხადებელი, განმარტავს, რომ ბრძანებაში ასევე, არასწორად არის დაფიქსირებული მიწის ნაკვეთის მისამართი და საკადასტრო კოდი.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2023 წლის 17 მაისს №AR1966747 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.19.22.003.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. აღნიშნულ განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა საინფორმაციო დაფა, სადაც საპროექტო ობიექტად მითითებულ იქნა საწყობი. ასევე, ნომენკლატურაში საპროექტო ობიექტი სწორად მიეთითა. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად საპროექტო ობიექტი, მიწის ნაკვეთის მისამართი და საკადასტრო კოდი არასწორად დაფიქსირდა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882023226536; მომზადების თარიღი: 19/04/2023 წ.) საპროექტო ობიექტის მისამართს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ენუქიძის ქუჩა №7, ქალაქი თბილისი, ენუქიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ. ხოლო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდს - №01.19.22.003.088.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე, გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს ქალაქ თბილისში, ენუქიძის ქუჩა №7, ქალაქ თბილისში, ენუქიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.22.003.088) სამსახურის 2023 წლის 05 მაისის №6449423 ბრძანებით შეთანხმებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 22 ივნისის №6522916 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.